

საქართველოს სეისმოაქტიური სტრუქტურების კვლევის მეთოდები
„ბორჯომი–ყაზბეგის“ აქტიური რღვევის მაგალითზე.

ნონა ლურსმანაშვილი

nona.lursmanashvili@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
0186. უნივერსიტეტის ქ. №13.თბილისი, საქართველო

რეგიონში გაირჩევა აქტიური რღვევების სამი ძირითადი მიმართულება, რომელთა შორის გაბატონებულია ჩრდილოეთის მიმართების კუმშვითი სტრესები. ესენია სუბგანედური (დჩდ) ან განედური (დ-ა), ჩა-სდ და ჩდ-სა. სტრუქტურების ე.წ. „კავკასიური“ მიმართულებები კუმშვითია: შესხლეტვები და ძლიერ შეკუმშული რღვევაგანვითარებადი ნაოჭები. მათგან განსხვავებით გარდიგარდმო რღვევები ასევე კუმშვითი სტრუქტურებია სხვადასხვა ზომის ნაწევური კომპონენტით. ჩა-სდ მარცხენა ნაწევები მთავარი სეისმოაქტიური სტრუქტურებია სა საქართველოში.

კავკასიის რეგიონი დიდი ხანია რაც განიხილება როგორც სოლური ტექტონიკის ერთ-ერთ მაგალითად. აქ აღნიშნული ბორჯომი–ყაზბეგის მარცხენა ნაწევი მიჩნეულია აქტიურად შემოჭრილი არაბეთის სოლის დასავლურ საზღვრად. მაგრამ სეისმური ქსელის გაუმჯობესებული სიხშირე არ იძლევა საბაზს ბორჯომი–ყაზბეგის რღვევის განსაკუთრებული სეისმურობის შესახებ. ეს ახალი მონაცემები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ამ რღვევის არსებობას და ამასთანავე რეგიონის ტექტონიკურ მოდელს. ამ გაუგებრობის გასარკვევად გეომორფოლოგიური და გეოდეზიური გამოკვლევები განხორციელდა „ბორჯომი–ყაზბეგის რღვევაზე“. ვინაიდან „ბორჯომი–ყაზბეგის რღვევა“ განიხილება როგორც დიდი ქერქული სტრუქტურა, მის შესასწავლად საჭირო გახდა მრავალდარგობრივი კვლევის ჩატარება. ზუსტი GPS ინსტრუმენტირება იქნა გამოყენებული მრავალი ლოკალური ტოპოგრაფიული მარკერის გამოსავლენად რღვევის შემოთავაზებული ხაზის გასწვრივ.

კომპლექსურმა კვლევამ არ გამოავლინა არავითარი მონაცემები აღნიშნული რღვევის არსებობის თაობაზე. ყველა ტოპოგრაფიული მარკერი გრძელდება უწყვეტლივ აღნიშნული „რღვევის“ აქეთ–იქით. ასევე, არცერთი სტრუქტურა არ იძლევა არავითარ ნიშანს მათი „რღვევით“ გადანაცვლების სასარგებლოდ.